

## ბაღდათის მუნიციპალიტეტი



ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფელ წყალთაშუაში საბავშვო ბაღის  
სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ერთეუტაპიანი  
ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

**CPV45200000**

ქ. ბაღდათი

2016 წელი

# 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 2.1 სამუშაოს დასახელება და შესრულება ვადა:

2.1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფელ წყალთაშუაში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.1.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობის სამუშაოები (იხ. მიმაგრებული ფაილები - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა).

2.1.3 „მიმწოდებელმა“ სამუშაოების შესრულება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

### 2.2 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

ა) პრეტენდენტის შეთავაზება დანართი N1-ის მიხედვით,

ბ) ხარჯთაღრიცხვები ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად (იხ. მიმაგრებული ფაილი სახელწოდებით - ტექნიკური დავალება),

გ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაო გამოცდილების შესახებ [შესრულებული ანალოგიური CPV45200000 სამუშაოების მოცულობა მიმდინარე წელს ტენდერის გამოცხადებამდე (დასრულებული ხელშეკრულებები) და ბოლო 3 (სამი) წლის (2013, 2014, 2015 წ.წ.) განმავლობაში არ უნდა იყოს 50000 (ორმოცდაათიათასი) ლარზე ნაკლები. დანართი N2-ის მიხედვით და დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები);

დ) სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი (იჯარის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების დასრულების ვადა არ უნდა იყოს სამუშაოების დასრულების ვადაზე ნაკლები) დანართი N3-ის მიხედვით,

2.3. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის მქონე მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარისხის, მასალებისა და მოწყობილობების საბაზრო ღირებულებისაგან მკვეთრი განსხვავების გათვალისწინებით, მომწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა „აკრედიტებული პირის“ მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შეტყობინების მიღებიდან არა უმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღეში. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

### 3. სამუშაოთა ხარისხი:

სამუშაოების შესრულების დროს შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების სერთიფიკატები და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

შუალედური ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად (არანაკლებ ხელშეკრულების ღირებულების 30%-ისა), უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტების ( ფორმა №2 და ფარული სამუშაოების აქტები) და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეში, საბოლოო მიღება-ჩაბარებამდე შემსრულებელს დაუკავდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 20%.

შესრულებულ სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარება და ანაზღაურება მოხდება შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს მოცულობასა, ხარისხზე და ღირებულებაზე „ლევან სამხარაულის“ სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა „აკრედიტებული პირის“ მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

### 4. გარანტია და დეფექტებზე პასუხისმგებლობის ვადა:

დეფექტებზე პასუხისმგებლობის საგარანტიო ვადა შეადგენს 3 წელს სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

### 5. გასაწევი მომსახურების ფასი და ხარჯთაღრიცხვა:

ანგარიშსწორების პირობები:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხილული იქნეს მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული წერილობითი თხოვნის საფუძველზე.(მხოლოდ საბანკო გარანტიით)

გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

დ) სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ შემსყიდველი ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2%-ს დაკავებას, რაც მიმწოდებელს დაუბრუნდება სამუშაოების დასრულებიდან 3 წლის შემდეგ მას შემდეგ, როცა შემსყიდველი დაამოწმებს, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ.

ე) ავანსი შესაძლებელია გაიცეს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულების 30%.

6. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოთა მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკი, როგორც კალენდარული, ასევე თანხობრივად გაწერილი.

პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს და მასში მოცემული პუნქტები განაფასოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #1-/251 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და საამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად.

### საკონტაქტო ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. №9; საკონტაქტო პირი:

მანაველ კვირიკაშვილი, ტელეფონი: 555 557227

ვეფხვია ზივზივამე, ტელეფონი 596123446

# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № \_\_\_\_\_

“ \_\_\_ ” \_\_\_\_\_ 201\_ წელი

ქალაქი \_\_\_\_\_

ერთის მხრივ, ქალაქ \_\_\_\_\_ მუნიციპალიტეტის გამგეობა, (შემდგომში „შემსყიდველი“) ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის – \_\_\_\_\_ სახით. (მისამართი: 0000, ქ. \_\_\_\_\_, ტელ: \_\_-\_\_-\_\_-\_\_)

მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_, (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის, \_\_\_\_\_ სახით, (მისამართი: \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_)

ტელ: \_\_\_\_\_ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებელი“-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, № \_\_\_\_\_ ერთეულებიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგნაირად:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ (დაწესებულებამ), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „სამუშაო” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია” – მიმწოდებლის მიერ № \_\_\_\_\_ ერთეულებიანი ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფელ წყალთაშუაში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (ხარჯთაღრიცხვები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, სამუშაოების შესრულების კალენდარულ-თანხობრივი გეგმა-გრაფიკი და სამუშაოთა წარმოების ჟურნალი – რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.3 კლასიფიკატორის კოდი – 45200000.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. „შემსყიდველი” უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. სახელშეკრულებო ობიექტზე(ობიექტებზე ცალ-ცალკე) შემსრულებელმა უნდა აწარმოოს – დანომრილფურცლიანი, ზონარგაყრილი, შემსყიდველი და შემსრულებელი ორგანიზაციების უფლებამოსილი პირების ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული **სამუშაოთა წარმოების ჟურნალი**, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმებისა და მოწყობილობების ჩამონათვალს, ხარისხის, უსაფრთხოებისა და გარემოზე ზემოქმედების დაცვის პროცედურებს, ამინდის მონაცემებს და სხვა. ამ ჟურნალში ტექნიკადამხედველი სისტემატიურად, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს. ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი.“

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი უფლებამოსილი ჯგუფის მიერ.

4.6 ჯგუფი ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას, ხარისხს და ვადებს.

## 5. სამუშაოს შესრულების ვადა

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოების შესრულება განხორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

6.2 შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე.

6.3 სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შექმნილი ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

6.4 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი უფლებამოსილი ჯგუფის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 შემსყიდველთან შეთანხმებით ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად (სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 30%), „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფორმა №2

ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე გამგეობის შესაბამისი უფლებამოსილი ჯგუფის დასკვნის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

გ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.დ.გ-ს ანგარიშ-ფაქტურა.

დ) სამუშაოების **საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს** – ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე, რაც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებსა და საამშენებლო ნორმებსა და წესებს.

ექსპერტიზის ხარჯები გაწეული უნდა იქნას შემსრულებლის მიერ.

ანაზღაურება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.4 „მიმწოდებელი“-ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 30%-ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე (ავანსი) მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“-ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას. იმ შემთხვევაში თუკი, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით გაცემული და დაუდასტურებელი (გამოუქვითავი) საავანსო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.5 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2%, რომლის დაბრუნება მოხდება საგარანტიო ვადის (სამი წლის) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

## 8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება 3 (სამი) წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. სუბკონტრაქტორები

10.1 „მიმწოდებელმა“ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოძწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 12. მხარეთა უფლება-მოვალეობები

12.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

–სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია.

12.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

– უზრუნველყოს „მიმწოდებელი“-ს მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

–სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოებებისა და სინათლის ამრეკლი შუქნიშნების დაყენება.

–მშენებლობის დროს აუცილებელად იხელმძღვანელოს СНИП-ებით, შეასრულოს და დაიცვას და მათი მოთხოვნები შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში.

–მომუშავენი უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ასევე ასრულებდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებს.

–შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

–უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეებისა და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა, ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

–სამუშაოს დასრულების შემდეგ 10(ათი) დღის ვადაში თავისი ძალებითა და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი და მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.

## 13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

არ გამოიყენება.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებელი“-ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ გადაიხდის ხელშეკრულების საერთო თანხის 30(ოცდაათი) პროცენტს – (————) ლარს შემსყიდველის სასარგებლოდ.

14.2 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს მის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად

შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

14.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

14.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულების 14.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყოვნებლივ;

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 16. დაუძლეველი ძალა

16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

16.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

16.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 17. სადავო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 201\_ წლის — ————— ჩათვლით.



19.2 ხელშეკრულება შედგენილია 3(სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

## 20. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**შემსყიდველი:**

\_\_\_\_\_ მუნიციპალიტეტის გამგეობა

მის: ქ. \_\_\_\_\_, \_\_\_\_\_N\_\_\_\_\_

მიმღები: \_\_\_\_\_

ბ/კოდი:

ბ/კოდი:

ს/კოდი:

\_\_\_\_\_ მუნიციპალიტეტის

გამგებელი

-----

\_\_\_\_\_

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს \_\_\_\_\_

მის: \_\_\_\_\_N\_\_\_\_\_

მიმღები \_\_\_\_\_

ბ/კოდი: \_\_\_\_\_

ა/ა \_\_\_\_\_

ს/კოდი: \_\_\_\_\_

შ.პ.ს „\_\_\_\_\_“

დირექტორი

-----

\_\_\_\_\_

დანართი №1

## პრეტენდენტის შეთავაზება

1	პრეტენდენტის იურუდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	

	ელექტრონული მისამართი	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2	სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:	
3	ინფორმაცია სამუშაოების შესრულების ვადების შესახებ:	
4	ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის შესახებ:	

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) \_\_\_\_\_

დანართი №2

### ინფორმაცია

მიმდინარე წლის (დასრულებული ხელშეკრულებები) და ბოლო სამი წლის (2013, 2014, 2015 წ.წ.) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური (შენობების კაპიტალური მშენებლობა) სამუშაო გამოცდილების შესახებ

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება	ხელშეკრულების დადების თარიღი და №

**შენიშვნა: ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება- ჩაბარების აქტები).**

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) \_\_\_\_\_

დანართი №3

**მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი**

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა	მათ შორის	
			საკუთარი	იჯარით


შენიშვნა: იჯარის შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების დასრულების ვადა არ უნდა იყოს სამუშაოების დასრულების ვადაზე ნაკლები.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) \_\_\_\_\_